ოქმი:ო37. 37230652
თარიღი:06/03/2023

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის

2023 წელი, 1 მარტი

ქ. ოზურგეთი

11.00 -14 .00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. არუშიძე ; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ნ. ქარჩავა, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, პ. სალუქვაძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ.ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 35-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 35 ხმით. საკითხების განხილვის დაწყებამდე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა ითხოვა განცხადების გაკეთება, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განუცხადა, რომ განცხადებებისა და მიმართვებისთვის დღის წესრიგში გათვალისწინებულია ბოლო საკითხი და იქ შეუძლია გააკეთოს განცხადება, თ. ნიკოლაშვილი არ დაეთანხმა ამ განცხადებას, დაიწყო ხმამაღალი საუბარი ე.წ. „რუსულ კანონზე“, შეეცადა სხდომის ჩაშლას, უმრავლესობას უწოდა პრორუსული, ჩართო რუსეთის ფედერაციის ჰიმნი, რასაც მოჰყვა საკრებულოს წევრების უკმაყოფილება, ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ორჯერ მისცა სიტყვიერი გაფრთხილება თ. ნიკოლაშვილს და განუცხადა, რომ დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-“ს თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ

გაკოტრებული პარტიის წარმომადგენლებმა კიდევ სცადეს საკრებულოს სხდომის ჩაშლა, ამის შემდეგ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომა.

7.1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს“ (კოდი 04 03 01) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლალი სიჭინავა

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ პროექტში აღმოაჩინა უზუსტობა და გამოთქვა აზრი - პროექტის ავტორებს საკრებულოს სხდომის დასრულებამდე წარმოედგინათ დაზუსტებული ვარიანტი, კერძოდ მე-4 მუხლის“გ“ ქვეპუნქტში შეეტანათ შესაბამისი ცვლილება. ამ შენიშვნით, 27-ხმით, საკრებულომ დაამტკიცა პროექტი.

8.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დავით ჭაკნელიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

13.3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

14.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

15.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ს/კ 26.26.56.186 და ს/კ 26.26.57.386) შპს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "მერცხალი"-სთვის (ს.ნ. 437373067) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

16.6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ. 26.17.17.002) შპს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი "მერცხალი"-სთვის (ს.ნ. 437373067) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

17.7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,ზაურ ჩანჩიბაძის“ სახელის მინიჭების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

9.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

18.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მაიზერ ცელაძე

ქეთევან ხომერიკი

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

10.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

ქეთევან ხომერიკი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 27- ხმით

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ქ. ხომერიკმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ პროექტს.

11. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა და მხარს უჭერს წარმოდგენილ ანგარიშს.

12. ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ინფორმაციის მოსმენისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ ანგარიშს ამ ფორმით საკრებულო პირველად ისმენს, აქ არა მარტო შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩამონათვალია მხოლოდ, არამედ დასახელებულია ის სამუშაოებიც, რომლებიც დარგობრივ კომისიას მიაჩნია პრიორიტეტულად.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ თანამომხსენებელს დაუსვა შეკითხვა-სამსახურის რეკომენდაციების რამდენი პროცენტია შესრულებული? განუმარტეს, რომ 70-80 პროცენტი, რაც განაპირობა მუნიციპალიტეტის მერიის მენეჯმენტში შეტანილმა სტრუქტურულმა ორგანიზაციულმა ცვლილებებმა და განსაკუთრებით შესასრულებელი სამუშაოებისადმი მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ კონტროლის გაძლიერება.

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლალი სიჭინავა

ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა თ. ტუღუშმა დასვა შეკითხვა-სოფლებში, სადაც არის მოთხოვნა, იგეგმება თუ არა სპორტული წრეების შექმნა? განუმარტეს, რომ საკითხი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა დამაკმაყოფილებლად შეაფასა ანგარიში და ლ.სიჭინავას წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში. ეს მოსაზრება გაიზიარა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ და ასევე, ხაზი გაუსვა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მუშაობაში ჯანსაღი კრტიტიკული ურთიერთობის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისათვის.

15. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის" წარმომადგენელმა გ. ჩავლეშვილმა, განაცხადა, რომ თ. ნიკოლაშვილმა კვლავ დადგა უნიჭო სპექტაკლი, შეეცადა საკრებულოს სხდომის ჩაშლას, საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის" მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივებს იწუნებს წაუკითხავად, აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩზეც, რომელიც ქართველ ხალხს არ უნდა ასწავლიდეს როგორი კანონი მიიღოს, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტზეც, რომელმაც კანონპროექტი მიაჩნია რუსულის ანალოგად და სამართლებრივი შეფასების გარეშე დაადებს ვეტოს. ისაუბრა პარლამენტარ ელენე ხოშტარიაზე, რომელიც თავად იღებს რუსეთის ფედერაციიდან დიდ თანხებს და მოძრაობა „ხალხის ძალას" უწოდებს პრორუსულს, ილაპარაკა მ. სააკაშვილზე, რომელიც მისი აზრით თავად იყო და არის რუსეთის აგენტი და სხვა.

შ.შ.მ. პირებთან დაკავშირებული ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელმა ნ. ჭელიძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ მომავალში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გაითვალისწინებენ მათ ჩართულობას.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა განაცხადა, პარტია „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" დღესაც მოაწყო უნიჭო მორიგი სპექტაკლი და შეეცადნენ სხდომის ჩაშლას, თათია ნიკოლაშვილმა ჩართო რუსეთის ფედერაციის ჰიმნი საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ეს იყო შეურაცხმყოფელი საქციელი, თავად ნაციონალურმა მოძრაობამ უსმინა რუსულ ჰიმნს გულზე ხელდადებული და ფეხზე წამომდგარი, რადგან მათთვის ეს მშობლიურია. სწორედ მათმა პარტიამ დაუთმო რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20%, მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები და სხვა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი